



№ 25/CIRC/FSI

09 / სექტემბერი / 2020 წ.

საქართველოს დროშით მცურავი გემების მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს, შიდა ნაოსნობაში ჩართულ აღიარებულ ორგანიზაციებს, აღიარებულ აგენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს

შინაარსი: მცურავი საშუალებების მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით
მითითება: საქართველოს საზღვაო კოდექსი, მუხლი 44¹²

1. მიზანი:

1.1 აღნიშნული ცირკულარის მთავარი მიზანია გემთმფლობელებისა და აღიარებული ორგანიზაციების მიერ, დაცული იყოს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება იმ მცურავი საშუალების მშენებლობის პროცესში, რომლებიც დარეგისტრირდება საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში.

2. მოქმედების სფერო:

2.1 ცირკულარი ვრცელდება შიდა ნაოსნობაში დასარეგისტრირებულ მცურავ საშუალებებზე, მათ გემთმფლობელებსა და შიდა ნაოსნობაში ჩართულ აღიარებულ ორგანიზაციებზე.

3. მცურავი საშუალების მშენებლობის სტანდარტული მოთხოვნები:

3.1 საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისად, გემი როგორც ყველა სახეობის მცურავი ობიექტი უნდა იყოს აღიარებული ორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ.

3.2 აღიარებული ორგანიზაცია, რომელიც არის მცურავი საშუალებების ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაცია/ ან რომლის ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ აიყვანება შესაბამისი მცურავი საშუალება, რომლის წესების შესაბამისად და რომლის ზედამხედველობითაც ხორციელდება მცურავი საშუალებების დაპროექტება, მშენებლობა და ა.შ.

4. აღიარებული ორგანიზაციის ვალდებულება:

4.1 მცურავი საშუალების მშენებლობის დაწყებისას და შემდგომი მოქმედებების დროს აღიარებული ორგანიზაცია ვალდებულია:

- წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს;
- დაამტკიცოს მცურავი საშუალებების პროექტის ნახაზები/სქემები;
- გააფორმოს ხელშეკრულება გემთმფლობელთან;
- მცურავი საშუალების მშენებლობის პროცესში აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები;
- სააგენტოს წარუდგინოს წერილობითი დასტური მცურავი საშუალების მშენებლობის დასრულების შესახებ;
- სხვა დოკუმენტაცია, სააგენტოს მოთხოვნიდან გამომდინარე.

5. მცურავი საშუალების რეგისტრაცია:

5.1 მცურავი საშუალების რეგისტრაცია ხორციელდება სააგენტოს დირექტორის „გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება N 20 შესაბამისად.

5.2 გემთმფლობელი ვალდებულია მცურავი საშუალების რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოადგინოს მშენებლობის დასრულების დამასტურებელი მოწმობა/სერტიფიკატი, რომელიც გაცემული უნდა იყოს მშენებარე ქარხნის/დანესებულების მიერ.

6. დამატებითი მოთხოვნა (Accepted Service Provider);

6.1 სააგენტოს მიერ, 2016 წლის 15 იანვრის, № 1/CIRC/FSI ცირკულარის შესაბამისად, რომელიც ძირითადად, დაფუძნებულია საქართველოს საზღვაო კოდექსის შესახებ საქართველოს კანონზე. „საქართველოს დროშით მცურავი გემის ზღვასწორებუნარიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაოების (რომელიც, ძეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება კორპუსის სამუშაოებით), განხორციელება შეუძლია ევროკავშირის ან/და საქართველოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო ორგანიზაციის მიერ მიღებულ ტექნიკური მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას (Accepted Service Provider)

7. ვალდებულების შეუსრულებლობა;

7.1 საქართველოს საზღვაო კოდექსის და საერთაშორისო რეგულაციებს შესაბამისად, სააგენტოს მიერ აღიარებული ორგანიზაცია და გემთმფლობელი ვალდებულია სრულყოფილად შეასრულოს გემთაღნიშნული მოთხოვნები.


7.2 მცურავი საშუალების რეგისტრაცია საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში არ განხორციელდება აღიარებული ორგანიზაციისა და გემთმფლობელის მიერ წინამდებარე ცირკულარის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

8. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:

8.1 დამატებითი კონსულტაციისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტი
ტელ: +995 (422) 274925
ელ-ფოსტა: fsi@mta.gov.ge
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

თამარ იოსელიანი